# გურიის ერობის მოამბე

№ 17

ფასი 3 მანეთი

ერობის ყოველკვირეული გაზეთი.

კვირა 9 მაისი 1920 წელი ქ. ოზურგეთი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## 9 მაისი.

ისევ თოფების გრიალი, ზარბაზანთ ქუხილი!

თავისუფლების მტრები წალეკვით გვემუქრებიან. რაშია საქმე? ვის რა წავართვით, ვის რა დაუშავეთ?

„წითელმა“ რუსეთმა მასავით დამარცხებულ, განიავებულ და გაპარტახებულ ოსმალეთს გაუწოდა ხელი; გამაჰმადიანებულმა ბოლშევიზმმა—გაბოლშევიკებულ ისლამს, გაშავებულმა „წითლებმა“—„გაწითლებულ“ შავებს და ეს—ერთი მეორეს ისტორიულათ მოსისხლე მტერი: ჩრდილოეთის ვანდალი და სამხრეთის პირსისხლიანი მხეცი, ხელიხელ ჩაკიდებული, ყელი-ყელ გარდაჭდობილი ბნელი აზიის მეთაურებად გამოვიდენ და განათლებული ევროპის დამარცხებას ლამობენ. პირველთა მიზანია საკუთარი საზღვრები გააფართოვოს და ევროპის „გამრყვნელი“ კულტურა დამარხოს-დაასამაროს; მეორეთ მიზანია ევროპის დაშინება, დაგლეჯილი ტერიტორიის გამრთელება, სამუსლიმანო აზიისა და მთელი ამიერ-კავკასიის ბატონად გახდომა.

ამიერ-კავკასიის ბედი საფრთხეშია. ორ ბარბაროსულ ქვეყანას, რუსეთსა და ოსმალეთს შუამდებარე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები სასტიკი პოლიტიკური ეგზამენის წინ წარსდგენ: მათ წინაშე შემდეგი არჩევანი დგება: ბოლშევიკებისა და ბეგების გზა, თუ ევროპის განათლებული დემოკრატიის; ბნელეთით მოცული აზიური კარჩაკეტილობა, უკულტურობა და გადაშენება, თუ ევროპიული განათლება, კულტურა და დაუსრულებელი წინსვლა და აღორძინება.

ადერბეიჯანი ხომ, როგორც ვიცით, ეს მეორე ოსმალეთია თავისი უკულტურობით, თავისი ბარბაროსობით, თავისი კარჩაკეტილობით და რელიგიით, მაგრამ ოსმალეთი უფრო პატარა, უფრო სუსტი, უფრო უძლური. და აი, რათა შექმნილი საერთაშორისო პირობებით ისარგებლოს, არსებული მდგომარეობა გამოიყენოს, საკუთარი საქმეები მოაჭახრაკოს მეზობელ რესპუბლიკათა ხარჯზე, რომელთა დაძლევა მას საკუთარი ძალებით არ ძალუძს, ზურგს აქცევს ევროპას, ხელს უწვდის ოსმალეთსა და რუსეთს და ხმალს იღებს ერთის მხრით სომხეთის, ხოლო მეორეს მხრით თავისი სამხედრო მოკავშირის, საქართველოს წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის გარდაუვალი უფსკრული ითხრება: აზერბეიჯანი დგება ბნელი აზიის ხალხებისა და სახელმწიფოთა ორბიტაში, საქართველო კი შეურყევლათ ადგას მისთვის ათასი წლობით ნაჩვევ გზას, გზას ევროპის კულტურისა და ცივილიზაციის. პირველის მხარესაა დანგრეული, გაპარტახებული, ანარქიის ალში გახვეული ბოლშევიკური რუსეთი და კიდევ უფრო დაუძლურებული, დაგლეჯილი, განიავებული და გაცამტვერებული ოსმალეთი; მეორეს მხარესაა მთელი კულტურული კაცობრიობა, განურჩევლათ კლასისა და პარტიისა და მთელი ევროპის დიდი და პატარა სახელმწიფოები.

ეჭვი არ უნდა გვქონდეს, მდგომარეობა სომხეთსაც იმავე გზით უკარნახებს სვლას, რომელი გზითაც საქართველო მიიმართება.

საქართველოს უიმედობა არ სჩვევია და სასოწარკვეთილება მით უფრო არ შეფერის მას დღეს. პირიქით, მოწინააღმდეგეთა სისუსტე, ჩვენი სიძლიერე, საერთაშორისო ძალთა განწყობილება—ერთი სიტყვით, ყველაფერი იმის თავდებია, რომ გამარჯვება საქართველოს უნდა ხვდეს ამ ბრძოლაში. კიდევ მეტი, თუ ჩვენ შექმნილ მდგომარეობას შესაფერათ დავაფასებთ და სათანადო სიფხიზლეს, ენერგიას და თავდადებას გამოვიჩენთ, შექმნილი მდგომარეობა, ვგონებ, საუკეთესო შემთხვევაც დარჩეს იმისათვის, რომ ხელგახსნილმა საქართველომ შესამჩნევათ გააფართოვოს თავისი საზღვრები, უფრო ბუნებრივს,

უფრო შესაფერს ადგილებში გადაიტანოს ისინი, როგორც აღმოსავლეთით და სამხრეთით, ისე სამხრეთ-დასავლეთით; ერთხელ და სამუდამოთ ალაგმოს თავისი მტრები, როგორც გარეთ, ისე შიგნით; აამაღლოს თავისი პრესტიჟი განათლებული ევროპის თვალში და გარედან სავსებით უზრუნველყოფილი სწრაფად გაექანოს განათლებისა და ალორძინების გზაზე.

ასეთმა მნიშვნელოვანმა ჟამმა დაჰკრა ჩვენს ცხოვრებაში. მაშ, ვისაც გიყვართ სამშობლო და თავისუფლება, ყველა თავის პოსტზე: მეომრებო, პოზიციებისაკენ! შინ დარჩენილნო, ჩაქუჩსა და გუთანს ხელი!

# საუბარი მკითხველთან.

## ერობა და კოოპერაცია.

## V.

ზოგიერთებს ასე წარმოუდგენიათ, რომ ერობა კოოპერაციის ინიციატივას ჩაუკლავდაო, — შეუბორკავდა ხელ-ფეხს, ამოაძრობდა სულს და გახდიდა მას უსიცოცხლო გვამადო. მაგრამ, ვინც ასე ფიქრობს, მას ალბათ არა აქვს ნამდვილი წარმოდგენა ერობის შესახებ, არ იცის, თუ რა არის ერობა, არ ესმის ერობის ნამდვილი ბუნება. ერობა მას ისე წარმოუდგენია, როგორც ძველი ბიუროკრატია, რომელიც ყოველთვის და ყველაფერს ხალხის დაუკითხავათ და ხალხისავე სურვილების წინააღმდეგ აკეთებდა. მან არ იცის, რომ ერობა, როგორც უაღრესათ დემოკრატიული დაწესებულება, თვითეული თავისი ნაბიჯის დროს ვალდებულია ხალხის ინტერესებიდან გამოდიოდეს და თავისი საქმიანობის ამა თუ იმ დარგში არა თუ მთელი ხალხის, არამედ კერძო პირის ინიციატივითაც სარგებლობდეს.

ზოგნი იმასაც ამბობენ, რომ კოოპერაციას დღეს უკვე მცოდნე და დახელოვნებული მუშაკები უდგანან სათავეში, ერობას კი ასეთები არ მოეპოვება ამ დარგში და, თუ კოოპერაცია მის ხელში გადავიდა, ის სავსებით დაიღუპებაო. ასეთ პირებს რომ დაუჯეროთ, მაშინ ერობის სათავეში არა სპეციალისტს ადგილი არ უნდა დაურჩეს. გამოდის, რომ, რადგან ერობა სახალხო ჯანმრთელობაზეც ზრუნავს, სკოლაზეც, მეურნეობაზეც, საგზო-საამშენებლო საქმეზეც და სხვა, ამიტომ ერობის აღმასრულებელი ორგანო უსათუოდ ექიმებისგან, ვექილებისგან, აგრონომებისგან, ინჟინრებისგან და პედაგოგებისგან უნდა შესდგებოდეს. და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სპეციალისტს ხშირად თავის საქმეს გარდა სხვა არაფერი მოეთხოვება, განსაკუთრებით საზოგადოებრივი ცხოვრების ცოდნის მხრივ, მაშინ ჩვენ ცოცხალი, მოძრავი, საზოგადოებას ბუნებრივი ორგანოს ნაცვლად მივიღებდით რაღაც უსულოს, ხელოვნურად შედგენილ ჯგუფს, რომელსაც ხშირათ არც საზოგადოებრივი ცხოვრების გაგება ექნებოდა, არც ხალხისადმი სამსახურის საკმარისი სურვილი და, როგორც ასეთი, ის ადრე თუ გვიან უსათუოდ გაქრებოდა.

ჩვენი აზრით, სახალხო, საერობო საქმეების ხელმძღვანელისათვის აუცილებელი არ არის სპეციალისტობა, როგორიცაა: ექიმობა, აგრონომობა, ინჟინრობა, კოოპერატორობა და სხვა, თუმცა ბევრ სხვადასხვა პირობებთან ერთად აუცილებელი არის საზოგადო განათლება, საზოგადო ცხოვრების და ერობის საქმიანობის თვითეული დარგის ცალცალკე და მათი შედარებით მნიშვნელობის და სავალი გზების ღრმა ცოდნა საზოგადოების ამა თუ იმ ეკონომიურ-კულტურულ დონეზე. მას ევალება იცოდეს, თუ რა ესაჭიროება საზოგადოებას, ხალხს საერთოდ და რა ესაჭიროება მას განსაკუთრებით ამა თუ იმ ხანაში, რა ძალები და საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნას აღნიშნული საქმისათვის და როგორ, და არა ის, თუ როგორ დაიმყნება ვაშლი, ან ვაზი, როგორ უნდა გაუკეთდეს ავათმყოფს ოპერაცია და სხვა. ერობის მოღვაწეთა მოვალეობაა ხალხის საჭიროებათა თავის დროზე შეგნება, შესაფერი საშუალებისა და ძალების გამონახვა და მათი მიზნის შესაფერათ გამოყენება. ასეთი თვისებები შესაძლებელია სპეციალისტსაც მოეპოვებოდეს და არა სპეციალისტსაც, და შესაძლებელია უკანასკნელს უფრო მეტის რაოდენობით, ვინემ პირველს.

თუ როგორ უძღვება ერობა ამა თუ იმ დარგს თავისი საქმიანობისა, ამას ჩვენ დავინახავთ შემდეგიდან: მაგ. სახალხო მეურნეობაზე ზრუნვა ერთ უმთავრეს დანიშნულებათაგანია დემოკრატიული ერობისა. რომ მან სახალხო მეურნეობაზე იზრუნოს, ამისათვის საჭიროა ერობამ იცოდეს პირველ ყოვლისა მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა, მისი პერსპექტივები და სხვა. ამისათვის ის იწვევს საჭიროების და მიხედვით მაზრის ყველა სამეურნეო დაწესებულებათა წარმომადგენლებისგან, თუ კულტურულ მეურნეობის საუკეთესო მცოდნეთაგან თათბირს, რომლის საშუალებით ის ეცნობა მეურნეობის დღევანდელ მდგომარეობას, საჭიროებას, იმუშავებს მომავალი საქმიანობის პროგრამას და ატარებს შემდეგ. მას ცხოვრებაში.

ამნაირათ სახალხო მეურნეობაზე ზრუნვა მას, ერობას ესმის ასე: ხალხისავე საუკეთესო და მცოდნე შვილთა რჩევა-დარიგებაზე დაყრდნობილი, ხალხის

მიერ მოცემული საშუალებით და ხალხის მიერვე ნაბოძები ძალა-უფლებებით აღჭურვილი ის აკეთებინებს ხალხს იმას, რაც თვითონ ხალხისთვის საჭიროა. ამნაირათ მიმდინარეობს ერობის მოღვაწეობა სხვა დარგებშიც და, თუ კოოპერაცია თვითმმართველ ორგანოთა ხელში გადავა, კერძოთ-კი ერობის ხელში, კოოპერაციის ინიციატივას არა თუ არავინ შეუზღუდავს, პირიქით ერობა დაექვემდებარება სპეციალისტ კოოპერატორთა რჩევასა და დარიგებებს ამ დარგშიც ისე და იმდენათ, როგორც სხვა დარგებში შესაფერი სპეციალისტების რჩევასა და გამოცდილებას.

მაგრამ აქ იტყვიან, რომ კოოპერატივებს უკვე დიდძალი ქონება აქვთ დაგროვილი და მისი ერობისთვის გადაცემა სახიფათო იქნებოდაო. მაგრამ ამაზე შემდეგ.

მ—რი.

## გამგეობის დადგენილებიდან:

— მასწავლებელ ს. ჯორბენაძეს მიეცეს 10 დღის თავისუფლება 24 აპრილიდან, თანხმად თხოვნისა.

— სამსონ მენაბდე, პავლე ნამჩენკო, მალხაზ შოშიტაიშვილი და პეტრე ლეშკოვი მიღებულნი იქნას ერობის სამსახურში და დაინიშნონ: პირველი—ოზურგეთის სასურსათო საწყობში გამგის თანაშემწეთ 20 აპრილიდან;
მეორე—მექედლეთ 10 აპრილიდან;
მესამე—დარაჯათ 16 აპრილიდან;
მეოთხე—მეჯინიბეთ 20 აპრილიდან;

— მაზრის მილიციას მიეცეს 30 ფუთი სიმინდი ნაღდ ფასებში, ე. ი. სამას (300) მანეთად ფუთი.

— გაიყიდოს ქართობილის ფუთი სამას (300) მანეთად.

— მოქ. დომენტი თალაკვაძეს მიენდოს თუთების ინსტრუქტორობა 24 აპრილიდან და ამ მოვალეობის ასრულებისათვის მისი თვიური ჯილდო განისაზღვროს სამი ათასი (3,000) მანეთით.

— დღეის რიცხვიდან არ იქნას გამართლებული ერთი დღიური, თუ ანგარიშის წარმომდგენ პირს არ ექნება მიღებული ერობის სამდივნოდან სათანადო მოწმობა სამსახურის გამო სხვაგან გამგზავრების შესახებ და მისი უკან დაბრუნების დრო არ იქნება დამოწმებული სათანადოთ გამგეობის წევრის ან განყოფილ. გამგის მიერ.

— ერობის გამგეობის თავმჯდომარე გაემგზავროს ქ. თბილისში ერობის საქმეების გამო.

— მიღებულ იქნას ერობის სამსახურში და დაინიშნოს სიქ.-მია-სერის საქიმო [illegible] ექიმი ალექსანდრე კონსტან. ოს[illegible] 9 აპრილიდან ა. წ.-

— მიღებულ იქნან ერობის სამსახურში და დაინიშნონ ლანჩხუთის რაიონში—სუფსაში ბინადრობით ვეტერინარი ფერშალი იასონ პინრაიშვილი და ჩოხატაურის რაიონში—ვეტერინარი ფერშალი არტემ დოლიძე, ორთავენი დღიდან სამსახურში გამოცხადებისა.

— მიეცეს სესხათ საწარმოვო მიზნისთვის ჩიბათის თემის გამგეობას სამოცი ათასი (60.000) მან. 1 ენკენისთვემდე ა. წ

— ტექნიკებს მაზრაში მგზავრობის დროს ეძლიოს ხარჯათ ასი (100) მან.

— ოზურგეთის საავათმყოფოს გამგებლობა დაევალოს საექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგეს ექ. ს. აბაშიძეს 1 მაისიდან ა. წ.

— მიეცეს ოზურგეთის თემს 250 ფუთი მარილი, ამაში ნახევარი ნისიათ 15 დღის ვადით.

## თემთა დადგენილებიდან.

ზემო-თავსურების თემის საბჭოს 10 აპრილის დადგენილებანი:

1, სათემო სააგრარო კომისიაში არჩეულ იქნას შემდეგი პირები: 1, გიორგი ზურაბის-ძე კაკალიძე 2, დათა კიკვაძე. 3, იესე როსაპის ძე ბარამიძე. რომლებიც ერთხმათ იქნენ არჩეული.

2, სასოფლო საამრარიო კომისიაში ერთხმათ არჩეულ იქნა ზემო სურებში: 1, ვარლამ ლომინეიშვილი, 2, იასონ ეზიაშვილი, 3, მელქისედეკ ბარამიძე თავ-სურებში: 1, სილოვან კიკვაძე, 2, ივლიანე ბასილის-ძე ბარამიძე და 3, ალექსი მაქსიმენის-ძე ბარამიძე. 16 გამოცხადდა ივანე ბარამიძე და 17 ჯიმშეთი ბარამიძე.

3, კიკვაძისა და კეკელიძის ლობე—გზის საქმე დაევალოს გამგეობას და მილიციის უფროსს მოაგვაროს და მოაწესრიგოს.

4. განსვენებულ სერბინე ეზიეშვილის ობლების ოპეკუნათ ავირჩიეთ ერთხმათ ალექსანდრე არჩილის-ძე ეზიაშვილი.

განსვენებულ კონსტანტინე სოროზანიშვილის ოპეკუნათ ავირჩიეთ ლუკა გიორგის-ძე ბარამიძე. განსვენებული არჩილ გოგიბერიძის ობლების ოპეკუნათ ავირჩიეთ იასონ ასიაშვილი.

განსვენებულ ალექსი ეზიეიშვილის ობლების ოპეკუნათ არჩეულ იქნა კოსტა ივანეს-ძე ეზიეიშვილი.

5, დასახელებული და მოძებნილი იქნას ყველა ხატის და საფონდო მიწები და წარდგენილი, სადაც ჯერ არის.

6, განსვენებულ კარპეზ კიკვაძის ობლის სახლის გაყიდვის შესახებ, ეს საქმე ექვემდებარებოდეს კანონს.

7, ა) განსვენებულის დიმიტრი სანიკიძის ობლების შესახებ, რომელიც არის თხოვნა ობლების დედისაგან, ფედოსი ზალიკას ასულის სანიკიძისაგან, ამის შესახებ დაევალოს ხსენებულ ობლების ოპეკუნს მოურაოს და ეპატრონოს ობლებს, როგორც რიგი და წესია.

ბ) დაევალოს გამგეობას სასტიკი თვალყური ადევნოს სასურსათო საქმეს, რომ სურსათი არ ჩავარდეს სპეკულიანტების ხელში და, თუ ვინმე სხვა სოფლიდან შემოვა სიმინდის სასყიდლათ, უნდა დაურჩეს სათანადო მოწმობა.

## საექიმო განყოფილებიდან.

### ჰიგიენა.

### II

რადგანაც ჩვენ ჯანმრთელობის ერთ უმთავრეს ფაქტორათ ზომიერებას ვაღიარებთ, დარწმუნებული ვარ, ეს დღევანდელ პირობებში სრულიად შეუფერებელი საზომი მკითხველში ბოროტ ღიმილს გამოიწვევს. განა შეიძლება ზომიერებაზე ლაპარაკი მაშინ, როცა მინიმუმიც კი სანატრელი გამხდარა და არ იცი, შეგრჩება თუ არა იმდენი ძალა, რომ ერთი-ორი დღით კიდევ გაუმკლავდე უღირსს, დამამცირებელ მტერს—შიმშილს. სილატაკე, ჭირი, ეს ძველი პრივილეგია მშრომელი მასსისა, დღესაც არ შორდება მას. მხოლოდ „რჩეულები“, შემთხვევით გალაღებულები ახერხებენ არსებულ პირობებს შეეგუონ და, შეიძლება, მეტ სარგებელსაც ღებულობენ მისგან, ვიდრე ეს წინეთ იყო შესაძლებელი. ეს ის ელემენტებია, რომელნიც საზოგადოებას არაფერს ღირებულებას არ სძენენ: საზოგადო დოვლათი სასპეკულიანტო სახლებიდან და თბილ კაბინეტებიდან არ გამომდინარეობს. საქართველოს კეთილდღეობა იქედება საზეინკლოში, სახარატოში, სადურგლოში; ის ჩამარხულია ბუნების წიაღში, რომლის გული უნდა გაპოს მაშვრალის ღონიერმა მკლავმა და იქიდან სისხლისა და ოფლის ღვრით უნდა ამოძურწოს ის. დიახ, საქართველოს კეთილდღეობის ოსტატი ქართველი მუშა და გლეხ-კაცობაა, რომელთაც სპეტაკი სული და რკინის ძალა ესაჭიროებათ მათზე დაკისრებულ დიად მოვალეობის შესასრულებლათ. ქანც-გაწყვეტილი, დაცხრილულ ძონძებით შემოსილი დღევანდელი ქართველი ვერ შესძლებს [illegible] გაჰყვეს საბოლოოთ არჩეულ გზას და, რაკი სხვა არჩევანი მისთვის აღარ არსებობს, აქ დროზეა შველა საჭირო. ის მხარე, სადაც ხალხის სასიცოცხლო მინიმალური პირობები არ არის დაცული, სადაც ის სუროგატით იკვებება, გაღატაკებულია გადამდებ სენის ბუდეთ, მუდამ დაავადებული, გამოფიტულია. რუსეთში უბრალო ხალხი შავ სახადს „голодный тиф“-ს ეძახის. ეს მართლაც შესაფერი სახელია ამ სენის, რადგანაც შავი სახადი შიმშილობის შედეგია. 1906 წელში მთელ რუსეთის რამოდენიმე გუბერნიებში ძალიან ცუდი მოსავალი იყო: ხალხს ხორბალი არ გააჩნდა და მის მაგივრათ რკოს ფქვილით და საჭმელით; იმავე წელში გაჩნდა რუსეთში ეს „голодный тиф“-ი და სულ მუსრი გაავლო ხალხს. ჩვენს ხალხშიაც არის ანალოგიური ტერმინი: „შავი ჟამი“. მე გამიგონია ჩვენებურ მოხუცებულებისგან: „ერჯელ შიმშილობა იყო და შავი ჟამი გაჩნდაო“ (შავი სახადი). იმ დროს თურმე ხალხი ტყეში გარბოდა და იქ ემალებოდა შავ ჟამს, ე. ი. ინსტიკტურათ გრძნობდა იზოლიაციის აუცილებლობას. დღეს ერობებმა საექიმო დახმარებით ასე თუ ისე უზრუნველგვყო, მაგრამ ის ვერ უშველის საქართველოს სხეულს, თუნდ მაგალითად, მისი სასიცოცხლო ორგანოს—გულის სისაღე, თუ ფილტვები, ან რომელიმე სხვა ნაწილი დაზიანებული აქვება მას. სახალხო-წიფო—საზოგადო დაწესებულებების ყველა დარგები უნდა იქმნეს დაყენებული თავის შესაფერს სიმაღლეზე და ქართველი ხალხი, როგორც კულტურულათ, ისე ფიზიკურათ—ეკონომიურათ უნდა მოღონიერდეს. მე ვფიქრობ, რომ დღევანდელი უმწეო მდგომარეობა უეჭველათ დააჩქარებს ამ აუცილებელ გარდაქმნის პროცესს; ის ერთნაირი წამაქეზებელი ფაქტორია და შექმნის ჩვენში მეურნეობა-მრეწველობის ახალ ხანას. ჩვენი მხარე ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სისტემატიურათ იმშეოდა, „მომადლიერდა ქვეყანა“-ო, ამბობდა მიწის მუშა და ამ მომადლიერებულ ქვეყნის მინდვრებს დღემდე პრიმიტიული, ადამის დროინდელი სახნის-საკვეთით ჩასჩიჩინებდა. ალბათ დღევანდელი მწარე გაკვეთილები იყო აუცილებელი, რომ მიწის მუშის კონსერვატიულ ბუნებას შეეგნო მეურნეობის ახალი გზების გამოძებნის აუცილებელი საჭიროება.

საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა და სხვა დარგის რგოლები ისეა ერთი მეორეზე აკინძული, რომ შეუძლებელია ერთი მათგანი გამოვყოთ, წარმატების გზას დავაყენოთ და მეორე კი უცვლელათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავტოვოთ; პირიქით ერთის სიკეთე, თუ უვარგისობა მეორედან გამომდინარეობს. აქედან ცხადია, რამდენათ მრავალმხრივია ის მოვალეობა, რომელიც დაკისრებული აქვს საზოგადო საქმის მესვეურებს. ავიღოთ მაგ. საექიმო დარგი. ჩვენ ვამბობთ: ექიმების და საექიმო პერსონალის რიცხვის გამრავლება ჯანმრთელობის საკითხს სავსებით ვერ ამოსწურავს: საჭიროა კიდევ ჰიგიენური და სანიტარული ზომებიც. ცნობილი პიროგოვის აზრით, ექიმობის საქმეში მომავალი დამცველ მედიცინას ეკუთვნის, ე. ი. უნდა იქნეს აშორებული ავადმყოფობის გამომწვევი ესა თუ ის პირობები.

ზევით აღვნიშნეთ, რომ ჩვენში გავრცელებულია მალიარია (უჟმური). რუსეთში ამ სენს ჭაობის ციებას — „болотная лихорадка“-ს ეძახიან, რადგანაც ის მართლაც ჭაობიან ადგილებში ბუდობს, ე. ი. იქ, სადაც ნოტიოსაგან მცენარეულობა ლპება, იხრწნება. საზოგადოთ საქართველოში, უმთავრესათ ლიხის მთას გადმოღმა, ჭაობიანი ადგილი [illegible] დესეტინობით ითვლება. ჭაობებში გროვდებიან კოღოები, რომელნიც პირდაპირ კბენის საშუალებით შეაწოვებენ სისხლში მალიარიის გამომწვევ ბაცილებს (პლაზმოდი) და ამ რიგათ გადააქვთ ავადმყოფობა ადამიანზე. ზამთარში, ვინაიდან სიცივე და ყინვა შედარებით აჩერებს მცენარეულობის ლპობას, ეს სენი თითქმის გვივიწყებს, მაგრამ სამაგიეროთ იშვიათია ოჯახი, რომ ზაფხულში მალიარიამ არ ინახულოს ის. დღესაც არის დარჩენილი „ფუსუსობის დღე“ ყველიერის ბოლოს სალამოს, სწორეთ ზაფხულის დასაწყისში. ამ დღეს კვერცხის ნაჭუჭში ყველის, თევზის, კვერცხის და სხ. ნამცეცებს ჩააწყობენ კოღოებს არშივით და გზის გარეთ შეუნახვენ შესაფერის ლოცვით: „ფუსუსა, კოღონა, დედაბერა! მე არ მიკბინო და შენი არშივი აქანე შემინახავს“-ო. უეჭველათ ეს ხალხური „საშუალებაა“ მალიარიის წინააღმდეგ. საზოგადოთ, რა ღონის ძიებაა კიდევ საჭირო მალარიის წინააღმდეგ, გარდა ხალხური „ფუსუსეს არშივისა“, ამაზე შემდეგ.

ი. ბ.

## სასკოლო განყოფილებიდან.

### სახალხო სკოლების ერთი წლის ისტორია.

II.

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ გურიის სახალხო სკოლების ის ანორმალური პირობები, რომელიც ცნობილ ვითარების გამო, შექნილიყო მათ გარშემო. გურიის სამაზრო ერობას დაევალა ამ ანომალიათა მოსპობა და ახალი, თანამედროვე ცხოვრების შესაფერი პირობების შექმნა ჩვენი სკოლებისათვის.

სამაზრო ერობის გამგეობამ გამოჰყო სახ. განათლების განყოფილება, რომელსაც დაავალა ამ მნიშვნელოვან დარგის მოწყობა-მოწესრიგება. თუ წინად საზოგადოთ სახალხო სკოლების ბედ-იღბალი თითქმის სავსებით დამოკიდებული იყო ბიუროკრატიის ყურ-მოჭრილ მონა-მორჩილის მოხელის, სახ. სკოლების ინსპექტორ-დირექტორისგან, სახალხო განათლების საქმის თვითმმართველობათა ხელში გადასვლით სკოლების მართვა-გამგეობა უნდა აგებულიყო დემოკრატიულ პრინციპებზე და ყოველგვარ შეცდომებს, თვითნებობას, სკოლების ცხოვრებასთან შეუსაბამობას ბოლო უნდა მოღებოდა.

პედაგოგიკის უმთავრესი პრინციპი — „ერიდე შეცდომას“-ო. არა თუ დავიწყებული იყო წინად, სახალხო სკოლა საკარიერო სარბიელი იყო ბიუროკრატ მოხელეთათვის. ამიტომ იყო, რომ სამაზრო ერობის სახალხო განათლების განყოფილება არ დაკმაყოფილდა თავისი ძალებით და პედაგოგიურ კითხვების შესამუშავებლათ და გადასაწყვეტათ შექმნა განყოფილებასთან ეგრ. წოდ. სასკოლო საბჭო მცოდნე-გამოცდილ 3 პირთა შემადგენლობით.

გურიის სამაზრო ერობა არ იცნობდა თავიანთ სკოლებს და მათ ხელმძღვანელ მასწავლებლებს. მას არ შეეძლო დაყრდნობოდა იმ ცნობებს, რომლებიც ინსპექტორ-დირექტორისგან მიღებულ საქმეებში მოიპოვებოდა. ამისთვის სამაზრო ერობის გამგეობამ სკოლების ჩასაბარებლათ და მისი ავლა-დიდების გასაცნობათ ადგილობრივ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი, გამგეობის წევრი, რომელმაც სახ. სკოლების ინსპექტორის თანხლებით დაწვრილებით აღწერა ჩაბარებული სკოლები. მაგრამ სკოლების პედაგოგიური მხარე ამ საშუალებით არ გაუცნიათ. ეს კი მეტად საჭირო იყო. ამისთვის სამაზრო ერობის გამგეობამ მოიწვია გასულ წელს მცოდნე-გამოცდილ მასწავლებელთა შემადგენლობით ორ-ორი კაცისგან შემდგარი სარევიზიო კომისიები, რომელთაც დაევალა მაზრის ორივე ტიპის სკოლების ჩამოვლა და მათი მდგომარეობის შესახებ მოხსენების წარმოდგენა.

ამავე დროს, გამგეობამ გადასწყვიტა საზაფხულო პედაგოგიურ-მეთოდიურ სამეცნიერო კურსების მოწყობა, გაერთიანებულ სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლათ, რომელიც ერობას დაუჯდა 50.000 მანეთამდე. გურიის ერობის ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა თავიდანვე უნუგეშო იყო სხვა ერობებთან შედარებით. მის განკარგულებაში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი

შემოსავლის წყარო, ხოლო გასაკეთებელი კი გაცილებით მეტი ჰქონდა, ვინემ სხვა ერობებს. ავიღოთ, თუ გნებავთ, სახ. განათლების დარგი. არც ერთ ერობას არ ჰქონებია იმოდენი გასავალი ამ დარგის შესანახათ, რამდენიც გურიის ერობას, მიუხედავათ იმისა, რომ ზოგმა ერობამ თავის მასწავლებლებს უფრო მეტი მიუმატა ჯამაგირი, ვინემ გურიის ერობამ. ეს აიხსნება გურიის სახ. სკოლების რიცხვის სიდიდით ერთის მხრივ და მთავრობის მიერ კრედიტის დაკლებით, მეორე მხრით. მარტო ამ უკანასკნელ მიზეზის გამო სამაზრო ერობამ თავის სალაროდან გაიღო ერთი წლის განმავლობაში ნახევარ მილიონ მანეთამდე. გურიის სამაზრო ერობის ყრილობამ მ. წ. 25—29 მარტის სხდომაზე, მიიღო რა მხედველობაში სახ. სკოლების მასწავლებელთა უნუგეშო ნივთიერი მდგომარეობა, გადასწყვიტა მიემატებია ორივე ტიპის სასწავ. მასწავლებელთათვის ას-ასი მანეთი თვიურათ, მაგრამ აღნიშნულ მდგომარეობის გამო ამ ფულების ყოველ თვიურათ მიცემა ერობის გამგეობამ ვერ შესძლო და მხოლოდ მიმდინარე წელში იწყო ამ მომატებებით მასწავლებელთა დაკმაყოფილება.

(დასასრული იქნება.)

კალმან.

## ოზურგეთის სამაზრო საერობო მეოთხე მორიგი ყრილობა.

(მოკლე ანგარიში.)

ყრილობა გაიხსნა 20 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, სამაზრო ერობის ბინაზე.

დაესწრენ შემდეგი ხმოსნები: ვლ. გუჯაბიძე, კონ. გურგენაძე, გ. ალშიბაია, კ. დანელია, ტ. ართმელაძე, გრ. თავდგირიძე, ბეჟ. ხუნდაძე, ივ. ლორთქიფანიძე, კარ. ბერიძე, სერ. წეროძე, ნიკ. წილოსანი, ბ. ჩხიკვიშვილი, გაბ. გოგუაძე, ათ. ცინცაძე, კ. ქავთარაძე, ა. ჩხაიძე, გ. ბერეჟიანი, მ. რამიშვილი, ს. ჭანტურიშვილი, ვლ. ცეცხლაძე, პლ. კვირკველია, შ. ქოქუა, გ. შილაკაძე.

ყრილობა გახსნა ერობის გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ს. ჭანტურიშვილმა და მოუწოდა აერჩიათ თავმჯდომარე.

თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ბენ. ჩხიკვიშვილი, მდივნებად: ნიკ. წილოსანი და კარპ. ბერიძე.

დღის წესრიგში იდგას შემდეგი საკითხები:

1, გამგეობის მოხსენება.

2, განხილვა და დამტკიცება 1920 წლის ხარჯთაღრიცხვისა.

3, ახალ დაარსებულ თემების დამტკიცება.

4, ზოგიერთი თემის შუამდგომლობა სანიტარული გადასახადის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის გამო მათზე დადებული ჯარიმის მოხსნის შესახებ.

5, ნატანებ-ოზურგეთის გზაზე გადასაზიდ ტვირთზე ერობის სასარგებლოთ დაწესებული გადასახადის გადიდება.

6, სავალდებულო დადგენილებანი მაზრაში ეტლითა და ავტომობილით მიმოსვლისა და ტვირთის გადაზიდვაზე ნიხრის დაწესების შესახებ.

7, შტატის შემცირების გამო სამსახურიდან დათხოვნილ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ჯილდოს შესახებ.

8, ჩოხატაურის გიმნაზიის ერობის ხარჯზე მიღება

9, სამეურნეო სკოლების ბაღის შემუშავების შესახებ.

10, წარმომადგენლების არჩევა სასარეწავო და შემოსავლის კვალობაზე გადასახადთა სამაზრო საკრებულოებში.

11, გამგეობის წევრთა შორის განყოფილებათა განაწილება.

12, ყოველ კვირეული გაზეთის „გურიის ერობის მოამბის“ გამოცემის შესახებ.

პირველი საკითხის, გამგეობის მოქმედების შესახებ მოხსენებებით გამოდიან როგორც გამგეობის თავმჯდომარე, ისე გამგეობის წევრები თავ-თავიანთ გამგებლობას ქვეშ არსებულ დარგების შესახებ.

ა) გამგ. თავმჯდომარე ს. ჭანტურიშვილი მოკლეთ ახასიათებს იმ პირობების სიძნელეს, რომლებშიაც უხდება გამგეობას მუშაობა, და შემდეგ აცნობს ყრილობას საქმის მდგომარეობას ადმინისტრატიულსა და საექიმო დარგებში. ის ამბობს: გამგეობამ იცის, თუ რა პასუხისმგებლობას აკისრებს მას არსებული მდგომარეობა, მას კარგათ გათვალისწინებული აქვს, რომ თუ ის კარგათ აკეთებს თავის პირდაპირ საქმეს—საერობო საქმეს, მაშინ ის ამით აკეთებს მთელი რესპუბლიკის საქმესაც და არა მარტო რესპუბლიკის, საერთაშორისო დემოკრატიის საქმესაც-კი. საქართველოს რესპუბლიკის როლი განსაკუთრებულია არსებულ პირობებში, და ამ განსაკუთრებული როლის შესრულება მას შეუძლია მხოლოდ ადგილობრივ—საერობო და სამოქალაქო თვითმართველობათა საშუალებით. საქართველოს რესპუბლიკა—განსაკუთრებული რესპუბლიკაა მთელი დედა-მიწის ზურგზე. აქ არის განმტკიცებული ხალხოსნური მართვა-გამგეობა, მთელი ძალა-უფლება ხალხს აქვს გადაცემული, აქ სრული დეცენტრალიზაციაა მართვა-გამგეობაში მომხდარი. ამიტომ ჩვენდამი დაკისრებული პასუხისმგებლობა, ჩვენც ვგრძნობთ, რომ ძლიერ დიდია. მაგრამ უსა-

შინელესია ის პირობები, რომლებშიაც ჩვენ გვიხდება მუშაობა. ასეთ ძნელ პირობებში ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო. და თუ ჩვენ ვერ გავაკეთეთ ის, რაც სასურველი იყო, ამაში ჩვენ ბრალი არ გვიდევს და პასუხსაც ნუ მოგვთხოვთ; პასუხი მოგვთხოვეთ მხოლოდ მაშინ, თუ დაინახოთ, რომ არ გავაკეთეთ ის, რაც შესაძლებელი იყო გაგვეკეთებინა არსებულ პირობებში.

ერობა ხალხმა მიიღო, მისი იდეა განმტკიცებულია, ამ მხრივ ჩვენ დაბრკოლება არ გვიხდება; ჩვენ უმთავრესათ ხელს გვიშლის ფინანსიური ხასიათის დაბრკოლება, ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა კრიტიკულია. დღეს რესპუბლიკაც დიდ ფინანსიურ გასაჭირს განიცდის, ერობები მით უმეტეს, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებულათ კრიტიკულია, პირდაპირ საშინელია. მრავალი ხარჯები გვაქვს, აუარებელი დაწესებულებები უნდა შევინახოთ, ყველაფერი ჩვენს ხელშია, ქონება კი არ გვაქვს, შემოსავალი არსაიდან. უმთავრეს წყაროს ჩვენი არსებობისას შეადგენს მთავრობის დახმარება, სხვა თვალსაჩინო წყარო ჩვენ არ გაგვაჩნია, გადასახადები ჩვენ არ გვაქვს გარდა ერთდროული სანიტარულისა, რომელმაც მილიონ ნახევრამდე მანეთი მოგვცა მთელი წლის განმავლობაში. სასურსათო ოპერაციები არაფერს გვაძლევს, სპეკულიაციას ვერ ვემართავთ. ჩვენი საბიუჯეტო უფლებები ხომ გაურკვეველია; ჩვენ არა გვაქვს რაიმე დასაყრდენობი შემოსავლის წყარო, ჩვენი შემოსავალი შემთხვევითი ხასიათისაა და ეს გარემოება ჩვენ ტრაგიკულ მდგომარეობაში გვაყენებს.

სხვა მრავალი დაბრკოლებებიც გვხდება ჩვენ სამოქმედო ასპარეზე. გურია განსაკუთრებულ მდგომარეობაშია, ომის საშინელება მან მთელი სიმძიმით თავის-თავზე გამოსცადა; ჩვენ აქ ყველაფერი განადგურებული დაგვხვდა, მით უმეტეს ოზურგეთში, სადაც ჩვენი რეზიდენცია არის. უბრალო უბინაობა რომ ავიღოთ, ისიც დიდათ გვაბრკოლებს. ასეთ საშინელ პირობებში გვიხდება მუშაობა, მაგრამ მაინც ვარსებობთ, როგორღაც ვახერხებთ არსებობას. ცხადია, მძლავრია ნებისყოფა ხალხისა და ეს სიმძლავრე გვამხნევებს ჩვენც, ამ ხალხის არჩეულებს, და ჩვენც განვაგრძობთ მუშაობას, ვებრძვით ხელის შემშლელ პირობებს.

შემდეგ მომხსენებელი, აცხადებს-რა, რომ გამგეობის წევრები დაწვრილებით მოახსენებენ ყრილობას თავ-თავიანთ დარგებიდან, გადადის თავის გამგებლობაში არსებულ ადმინისტრატიულისა და საექიმო განყოფილების მოქმედების დახასიათებაზე.

ადმინისტრაცია, ამბობს ის, სავსებით ერობის ხელშია, მთავრობას ეკუთვნის მხოლოთ კონტროლი; მისი შესანახი თანხის უდიდეს ნაწილს იძლევა მთავრობა, ნაწილს-კი იღებს ერობა. ადმინისტრაციის მოწყობა ძნელი საქმეა, ამიტომ ეს საქმე ყველგან კოჭლობს, აქაც გაუმჯობესება საჭიროა, მაგრამ თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენი მილიცია არის უმწიკვლო, ასე მცირე ჯამაგირით თავდადებულათ ემსახურება ხალხს და თავის მოვალეობას შეძლების და გვარად ასრულებს, ამიტომაა, რომ ჩვენს მაზრაში ამ ბოლო დროს ბოროტ მოქმედებათა რიცხვი ნაკლებია. ჩვენ მოვახდინეთ მილიციის რეორგანიზაცია: მოვსპეთ რაიონები, გავაძლიერეთ სამაზრო და სათემო მილიცია, მაზრის მილიციის უფროსს მივეცით სამი თანაშემწე, ორი ამათგანი მცირე ცხენოსანი რაზმებით დროებით ჩოხატაურსა და ლანჩხუთში გავამწესეთ. არსებობს აგრეთვე ზოგიერთ ადგილებში სამილიციო პოსტები. ჩვენ მოვსპეთ სამაზრო ფეხოსანი მილიცია, სამაგიეროთ გავაძლიერეთ ცხენოსანი და სათემო მილიცია, ვაძლევთ მათ შედარებით კარგ ჯამაგირებს და იმედი გვაქვს, რომ შესაფერ ნაყოფსაც მივიღებთ. დაწვრილებით ამის შესახებ თქვენ მოგახსენდებათ ხარჯთ-აღრიცხვის დროს.

შემდეგ მომხსენებელი მოკლეთ აცნობს ყრილობას საექიმო საქმის მდგომარეობას მაზრაში:

მაზრაში ჯერ-ჯერობით გვაქვს მოწყობილი 5 — საექიმო პუნქტი: ჩოხატაურში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ხიდისთავში და ბახვში. ლანჩხუთსა და ჩოხატაურში გახსნილია საავათმყოფო ათ-ათი საწოლით.

ამ დღეებში ერობას გადმოეცა აგრეთვე ოზურგეთის საავათმყოფო მდიდარი მოწყობილობით.

საფერშლო პუნქტი არსებობს 19: ლიხაურში, შემოქმედში, დვაბზუში, ბახვში, ერკეთში, თავ-სურებში, ქვემო-სურებში, ამაღლებაში, ასკანაში, ჩიბათში, ნიგოითში, სოფ. ჯუმათში, ძიმითში, ჩოჩხათში, ჯურუყვეთში, სად. ჯუმათში, მიქელ-გაბრიელში, გურიანთაში და ნანეიშვილის-სეულში.

აქიმობა ყველგან უფასოა.

ვინაიდან მედიკამენტების ფასი მეტად გაიზარდა და შეიქნა ერთგვარი თვითნებობა და სიყალბე კერძო აფთიაქებში, ერობის გამგეობამ ასეთ ბოროტებათა საწინაალმდეგოთ გახსნა ქ. ოზურგეთში ცენტრალური აფთიაქის საწყობი და სამი აფთიაქი მაზრაში: ჩოხატაურში, ხვარბეთში და ოზურგეთში. ბახმაროზე გაიხსნა ერობის აფთიაქი დროებით საგარაკო სეზონის განმავლობაში. აფთიაქების გახსნით ერობამ შეძლების და გვარათ უზრუნველ-ჰყო მცხოვრებთა ინტერესები კარგი ღირსების და შედარებით იაფი წამლის მიწოდებით 25% დაკლებით არსებულ საათიაქო ნიხრზე, ღარიბებს ეძლევა წამალი უფასოთ.

1919 წლის განმავლობაში ყველა საექიმო-საფერშლო პუნქტებზე საექიმო დახმარება მიიღო 46.231 ავათმყოფმა. განზრახული გვაქვს 11 საექიმო პუნქტის მოწყობა, მაგრამ ექიმებს ვერ ვშოულობთ. საზოგადოთ ექიმები ნაკლებათ მოდიან ჩვენში სამუშაოთ, ჩვენ ყოველ ზომებს ვხმარობთ, რომ რამდენათაც შეიძლება, უკეთესს პირობებში ჩავაყენოთ საექიმო დახმარების საქმე.

...უკანასკნელათ მომხსენებელი, კვლავ ეხება რა ერობის არსებულ უნუგეშო მდგომარეობას ფინანსიური მხრით, ამბობს, რომ გამგეობას ამ ფინანსიური კრიზისიდან გამოსასვლელ საშუალებათ მიაჩნია მრეწველობის გაჩაღება. ამ მიზნით გამგეობამ გადასწყვიტა ხელი მოჰკიდოს იმ დარგს მრეწველობისას, რომელიც ჩვენს მაზრას უფრო შეეფერება,—ეს არის ხე-ტყის მრეწველობა. გამგეობამ აიღო მთავრობისაგან სესხად 3 მილიონი მანეთი, შეიძინა საუკეთესო ხე-ტყის საწარმოვო ქარხანა ქ. ფოთში ცნობილი ამხ. სპრაოიკასაგან. ეს ქარხანა 240 ძალიანია, საუცხოვო მანქანები აქვს, მშვენივრათ მოწყობილია. ჩვენ ეს ქარხანა უკვე გადმოვიტანეთ ნატანებში სავსებით და ეხლა სწარმოებს გაცხარებული მუშაობა მის დასადგამათ, ის სანახევროთ უკვე დადგმულია. მალე ერთი მანქანა ამუშავდება, ყველა მანქანები-კი ორ-სამ თვეში იქნება მზათ, ასე რომ მარიამობისთვიდან ქარხანაში მუშაობა გაჩაღდება. ტყე მთავრობისგან ავიღეთ ჯერ-ჯერობით 1000-დეს. უფრო მეტი გურიანთის აგარაკში. გვაქვს შუამდგომლობა აღძრული აგრეთვე მაზრაში არსებულ დიდი ტყეების საექსპლოატაციოთ ერობაზე გადმოცემის შესახებაც. გურიანთის აგარაკის დამუშავებას შემდეგ ჩვენ შეუდგებით ამ ტყეების დამუშავებას. ერთი სიტყვით, ჩვენ უკვე გადაჭრით დავადექით ხე-ტყის მრეწველობის გზას. ეს გზა ჩვენ მიგვაჩნია ერთად ერთ საიმედო გზათ, რომელიც მოგვცემს ჩვენ საიმედო საარსებო წყაროს. ასეთია ჩვენი მოქმედების ხაზი და, ვფიქრობთ, ეს ერთად-ერთი სწორი ხაზია, რომელიც, იმედი გვაქვს, ერობას გამოიყვანს იმ უნუგეშო მდგომარეობიდან, რომელშიაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით.

(გაგრძელება იქნება).

## მღვდელ მასწავლებელთა საყურადღებოდ.

მაზრის მასწავლებელთა კავშირის გამგეობის ყურადღე მოაღწია ცნობამ, რომ ზოგიერთი მღვდელი—მასწავლებელი, მიუხედავათ მრავალჯერ გაფრთხილებისა, განაგრძობს მღვდელ-მოქმედების აღსრულებას. ეს კი არა-ნორმალურ მოვლენათ ჩაითვლება მასწავლებელთა ცხოვრებაში, შეურაცხმყოფელია მათი ღირსებისა და კავშირის გამგეობა ამას აქცევს სერიოზულ ყურადღებას, რომ შემდეგში მაინც არ განმეორდეს მზგავსი რამ. ამით კავშირის გამგეობა პირველათ და უკანასკნელათ აფრთხილებს მღვდელ-მასწავლებელთ, რომ მათ არ ჩაიდინონ შემდეგში გაუსწორებელი შეცდომები და ემსახურონ ერთ ღმერთს და არა ორს, როგორც ამ ჟამად ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი პასუხის მგებელი იქნებიან კავშირის წინაშე, სამუდამოთ უნდა გამოეთხოვონ სკოლას.

ეს არის ურყევი გარდაწყვეტილება მასწავლებელთა ყრილობის. ერობაც მტკიცეთ სდგას თავის გარდაწყვეტილებაზე და ოცდა ოთხ საათსაც არ მოაცდევინებს მღვდელ-მასწავლებელს სკოლაში, თუ კი კავშირის საშუალებით ან დამოუკიდებლად მი-ილებს ცნობას, რომ ის არღვევს საყოველთაოდ მიღებულ წესს მღვდელ-მსახურებისა და მასწავლებლობის შეუთავსებლობის შესახებ.

თავმჯდომარე თოთიბაძე.

## „გორის ფონდის" შემოწირულების ანგარიში.

შემოქმედის უმაღლეს დაწყ. სკოლის მასწავლებელ-მოსწავლეებმა გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოსწირეს შემდეგი:

მასწავლებლებმა ერთი დღის ჯამაგირი—1237 მ.

| | | | |
|---|---|---|---|
| I | კლასის მოსწავლეებისაგან | | 234 — „ |
| I | „ | „ | 144—50. |
| II | „ | „ | 115 — „ |
| II | „ | „ | 170-- |
| III | „ | „ | 423— |
| III | „ | „ | 327 — |
| IV | „ | „ | 351—50. |
| IV | „ | „ | 295— 65. |

სასწავლებელში არსებულმა მოწაფეთა სალიტერატურო წრემ . . . 406 —

სულ 3763 — 65,

რაიც, ე. ი. სამი ათას შვიდას სამი მან. და 65 კ., გადაეგზავნა გაზეთ „რესპუბლიკის" რედაქციას თბილისში ოზურგეთის საფოსტო განყოფილების საშუალებით ამა 1920 წ. 24 მარტის თარილით № 117.

ი. მელიქიშვილი.

## კითხვა—პასუხი.

კითხვა — ვსთქვათ, ვინმე ერთი თემიდან გადასახლდა მეორე თემში (ქუთ. მაზრაში), რომელსაც რამოდენიმე ქცევა მიწა აქვს. ქუთაისის მაზრაში ჩამოართვეს მიწები, ხოლო ადგილობრივ, ოზურგეთის მაზრაში, რომელი მიწაც დასტოვა, ხელუხლებელია. და, როცა მას საკმაო მიწა დაუტოვეს, მხედველობაში არ ჰქონიათ ადგილობრივი მიწა. ეხლა შეიძლება თუ არა ამ მიწის ჩამორთმევა და განაწილება, თუ არა და ვის მიერ?

პასუხი. — მემამულეს, როდესაც მიწა ერთმევა, ჩამორთმევის აქტში უნდა აღინიშნოს ყველა მისი მამული. როდესაც მას სხვა და სხვა მაზრაში აქვს მამული, ის აცხადებს, სად უნდა მიიღოს ნორმა. საագრარიო კომისია თანახმად მისი განცხადებისა უჭრის მის მიერ ნაჩვენებ ადგილში. თუ მემამულემ არ აჩვენა რომელიმე ნაკვეთი მიწა და კომისიამ ვერ გაიგო, რომ მას აქვს სხვაგან მიწა და მხოლოდ დაინტერესებულმა პირებმა ეს იციან, იმ შემთხვევაში ასეთი უნდა აცნობონ სამაზრო ერობის გამგეობას, რომელიც გამოიძიებს სინამდვილეს და, თუ მემამულეს უკვე მიღებული აქვს სრული ნორმა, გამორჩენილ მიწას რიცხავს სახელმწიფო ფონდში.

რედაქტორი—კოლეგია.

გამომცემელი—ოზურგ. სამაზრო ერობის გამგეობა.